

შპს „ფოლადკონსტრუქცია“

2024 წლის ანგარიში

შინაარსი

სააღრიცხვო პოლიტიკა	2
ფორმა #1 - ფინანსური მდგომარეობა	6
ფორმა#2 - საქმიანობის შედეგები	8
ფორმა #3 - ფულადი სახსრების მოძრაობა	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა – განმარტებითი შენიშვნები	10

ვამტიკებ



შპს „ფოლადკონსტრუქცია“ს

დირექტორი:

/გ.ბარბაქაძე/

**შპს „ფოლადკონსტრუქცია“
სააღრიცხვო პოლიტიკა**

შპს „ფოლადკონსტრუქცია“ დაფუძნდა 2003 წელის 6 ნოემბერს, მისი სრული დასახელებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფოლადკონსტრუქცია“ რეგისტრაციის # 5/ბ-198 საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის #5 საიდენტიფიკაციო კოდი: 216399136

ინფორმაცია პარტნიორების შესახებ:

- მუხრანი გიორგაძე, პ/ნ 35001036310 - 10%;
- თამაზი თამაზაშვილი, პ/ნ 35001050848 - 3.5%;
- იუზა თოფურია, პ/ნ 01024013695 - 4.5%;
- მზევინარი იმედაშვილი, პ/ნ 35001051351 - 14.3%;
- გიორგი ბარბაქაძე, პ/ნ 35001025333 - 14.7%;
- იური ბარბაქაძე, პ/ნ 01025016840 - 28.4%;
- ნაზიკო ლომიძე, პ/ნ 35001031445 - 10.8%;
- სიმონ ლეკიაშვილი, პ/ნ 35001079621 - 13.8%.

საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას წარმართავს მისი დირექტორი: გიორგი ბარბაქაძე

1. ზოგადი დებულებები

1.1 საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საცხოვრებელი და სამრეწველო შენობების მშენებლობა,
- ხიდების და გვირაბების მშენებლობა,
- ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და დეტალების წარმოება,
- ლითონის ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება,
- ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება,
- მსუბუქი ლითონის საფუთავების მოწყობა,
- სამუშაო პროექტების შემუშავება,
- შენობების დაშლა და აღება
- სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა.

1.2 წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

1.3 წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან.

1.4 ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორი.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

2.1 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს; იმპორტით მიღებული მოწყობილობები შემოსავალში აიღება მათი განბაჟების დღეს არსებული კურსით, ავანსის კურსის გათვალისწინებით;
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);
- ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი დისკონტირებული ღირებულებით;
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- ძირითადი საშუალების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირველადი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები აღირიცხება საერთო წესით, გამიჯნულად, ხოლო საგადასახადო მიზნებისათვის ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით;
- მოგების გადასახადის მიზნისათვის ძირითადი საშუალებები ჯგუფდება და ქმნიან ჯგუფის ღირებულებით ბალანსს, რომელსაც ცვეთა ერიცხება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.
- ხელსაწყოები და ინვენტარი, რომელთა გამოყენების ვადა ერთ წელზე ნაკლებია ან მისი სასარგებლო გამოყენების ვადა დაუდგენელია, აისახება გამიჯნულად, მიმდინარე აქტივების ანგარიშზე.

2.2 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;
- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

2.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარო წარმოების მარაგები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი - უწყვეტი;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი „საშუალო-შეწონილი“;
- სამშენებლო მასალების დაუმთავრებელი წარმოებაზე გახარჯული ნედლეული და მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. საწარმოო ზედნადები ხარჯები ჩამოიწერება გაანგარიშებული (გეგმური) ხარჯების მიხედვით, ხოლო

ფაქტობრივი ხარჯები აისახება ზედნაღები ხარჯების სინთეზურ ანგარიშის დებეტში. ფაქტობრივი ზედნაღები ხარჯების გადამეტება პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ ზედნაღებ ხარჯებზე წლის ბოლოს მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს;

- მასალები დაუმთავრებელ სამშენებლო წარმოებაზე ჩამოიწერება მასალების ხარჯვის შესახებ მატერიალურ-ტექნიკურ ანგარიშის საფუძველზე;
- პროდუქციის წარმოების პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში, წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე;
- იმპორტირებული საქონელი და მასალები შემოსავალში აიღება მათი განბაჟების დღეს არსებული კურსით, ავანსის კურსის გათვალისწინებით;
- წარმოების პროცესში მიღებული ნარჩენები პერიოდულად შემოსავალში აიღება მათი შემდგომი გამოყენებისათვის. ხოლო ნარჩენები, რომელთა გამოყენება შეუძლებელია ნადგურდება დადგენილი წესით;
- მასალების უსასყიდლოდ გადაცემა ჩამოიწერება არასაოპერაციო ხარჯებში, ხოლო საგადასახადო მიზნისათვის გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებში, დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით;
- დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც.

2.4 საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება განცალკევებულად სხვა ანგარიშზე. ტალონები ანგარიშვალდებულ პირზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.
- წარმოების დანიშნულებისათვის საწვავი ჩამოიწერება **მოთხოვნის დოკუმენტის** საფუძველზე და შეიყვანება პროდუქციის თვითღირებულებაში მითითებული დანიშნულების მიხედვით.

2.5 ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში აისახება და ჩამოიწერება **მოთხოვნის დოკუმენტის** საფუძველზე საერთო და აღმინისტრაციულ ხარჯებზე;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (ჯატრიჯი, დისკები, ეკრანის გამწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვის თანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;
- სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

2.6 საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საზოგადოების კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და 2000 (ორი ათას) ლარს შეადგენს;
- კაპიტალის მოცულობებისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

2.7 ინვესტიციების აღრიცხვა

- მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თბითღირებულებით;

- გრძელვადიანი ინვესტიციები - თვითღირებულებით.

2.8 შემოსავლების აღრიცხვა

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

2.9 ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

2.10 ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები ერთოვლივი შემოსავლებისა და გამოსაქვითი ხარჯების მიმართ აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში.

3. მოგება-ზარალი

3.1 წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საზოგადოების რეინვესტირებისათვის;
- სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.2 მოგების გადასახადი

- მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით;
- სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბედრი) მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

შპს „ფოლადკონსტრუქციის“ მიერ გამოყენებული ანგარიშთა გეგმა შედგენილია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის საფუძველზე, კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუშაობის პროცესში (აუცილებლობის შემთხვევაში), ბასს-ის ნორმებიდან გამომდინარე დასაშვებია დამატებითი ანგარიშების შემოღება.

	31/12/2023	31/12/2024
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	670,147	365,367
სავაჭრო მოთხოვნები	244,986	168,267
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	54,695	37,914
მარაგები	403,159	771,700
- მზა პროდუქცია	0	0
- სხვა	403,159	771,700
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,904,402	1,866,337
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	3,277,389	3,209,585
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	14,802	14,090
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	73,865	74,209
საგადასახადო ვალდებულებები	247,469	77,857
გამოუმუშავებელი შემოსავალი	377,131	780,055
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	713,267	946,211

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,030,122	1,788,540
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები	532,000	472,834
სულ საკუთარი კაპიტალი	2,564,122	2,263,374
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,277,389	3,209,585

დირექტორი:



/გიორგი ბარბაქაძე/

შპს „ფოლადკონსტრუქცია“

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2023	2024
ნეტო ამონაგები	5,021,111	2,912,995
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან	5,021,111	2,912,995
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,798,107)	(638,620)
საწყისი მარაგები	1,027,224	403,159
მარაგების შესყიდვა	1,174,042	1,007,161
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	403,159	771,700
საერთო მოგება	3,403,004	2,274,375
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,758,930)	(1,756,406)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,356)	(41,557)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(32,612)	
იჯარის ხარჯი	(100,673)	(85,872)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(485,591)	(189,465)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,412,162)	(2,073,300)
საოპერაციო მოგება	990,842	201,075
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	990,842	201,075
მოგების გადასახადი მოგება/(ზარალი)	990,842	201,075

დირექტორი



/გიორგი ბარბაქაძე/

	2024
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,916,977
გაცემული ხელფასი	(1,388,909)
მომწოდებლებზე გაწეული ფულადი სახსრები	(1,491,008)
გადახდილი გადასახადი	(943,179)
გადახდილი საპენსიო	(37,623)
ბანკის საკომისიო	(3,593)
გაცემული დივიდენდი	(357,445)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	670,147
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	365,367

დირექტორი



/გიორგი ბარბაქაძე/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა – განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

თანხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ლარებში, თუ ტექსტში სხვაგვარად არ არის მითითებული. საწარმო თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. თანდართული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება საზოგადოების საბუღალტრო ჩანაწერებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

საწარმოს არსებული რესურსების პირობებში უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალში.

ფორმა#1 ფინანსური მდგომარეობა

აქტივებში ასახულია:

31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ჯამი ნაღდი ფული საღაროში, საბანკო ანგარიშებზე და უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთის ექვივალენტი ლარში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

სავაჭრო მოთხოვნები - დებიტორიული დავალიანება (წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოების ღირებულება).

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი - ავანსად გადახდილი ხელფასები, წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების ღირებულება ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისათვის, ავანსად გადახდილი გადასახადები.

მარაგები - სასაქონლო მატერიალური მარაგები, მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება.

ძირითადი საშუალებები - ნარჩენი ღირებულება წლის ბოლოს.

ვალდებულებებში ასახულია:

სავაჭრო ვალდებულებები - კრედიტორული დავალიანება ადგილობრივი კომპანიების მიმართ.

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ - წლის ბოლოს დარიცხული და გადასახდელი ხელფასები, რომელიც გაიცა მომდევნო წლის დასაწყისში.

საგადასახადო ვალდებულებები - ვალდებულებები დარიცხული წლის ბოლოს საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და დღგ.

გამოუმუშავებელი შემოსავალი - ავანსის სახით მიღებული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების ნაწილი თანახმად გაფორმებული ხელშეკრულებისა, რომელიც მომდევნო წელს შესრულდა.

საკუთარ კაპიტალში ასახულია - საწესდებო კაპიტალი, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები.

ფორმა#2 საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები - მოიცავს შემოსავალს წლის განმავლობაში საქონლის რეალიზაციისა და შესრულებული სამუშაოების ჯამისა დღგ-ს გამოკლებით.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება - განისაზღვრება დახარჯული მასალების ჯამური ღირებულებით.

დასაქმებულთა ანაზღაურებაში - ასახულია დარიცხული ხელფასი.

იჯარის ხარჯი - მოიცავს იჯარით აღებული მექანიზმებისა და შენობის ხარჯების ჯამს.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები - მოიცავს სხვა დანარჩენ ხარჯებს (საკანცელარიო, კომპიუტერული, გადაზიდვის, მომსახურების, ბანკის საკომისიო, კონვერტაციის, კურსთაშორის სხვაობის და სხვა ხარჯებს).

ფორმა#3 ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში ასახული წლის მანძილზე საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები, რომლებიც იყოფა შემდეგ ნაწილად:

- გაცემული ხელფასი
- მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები
- გადახდილი გადასახადი
- გადახდილი საპენსიო (2+2)%
- ბანკის საკომისიო
- გაცემული დივიდენდი.

დირექტორი:



/გიორგი ბარბაქაძე/